ხაშურის მოამბე

№17 5 ოქტომბერი, ორშაბათი, 2015 წელი

ძვირფასო პედაგოგებო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელით, გულწრფელად გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს - მასწავლებლის დღეს! თითოეული თქვენგანი ემსახურება მეტად საპატიო და ქვეყნის მომავლისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს - ახალგაზრდა თაობების აღზრდასა და განათლებას. ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება, ამიტომ თითოეული მასწავლებლის წვლილი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში გადამწყვეტია. ვუსურვებ თითოეულ პედაგოგს ჯანმრთელობას, პროფესიულ და პირად ბედნიერებას, მოსწავლეთა სიმრავლეს.

დაე, მუდამ გვეამაყოს თქვენი აღზრდილი თაობებით!

საუკეთესო სურვილებითა და დიდი პატივისცემით,

გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ძვირფასო მასწავლებლებო!

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების ფონდის სახელით სულით და გულით გილოცავთ მასწავლებლის დღეს. მასწავლებელი ყოველთვის იყო, არის და იქნება ყველასთვის უდიდესი ავტორიტეტი და საპატივცემულო პიროვნება, რომელიც ქვეყანას უზრდის მომავალ პატრიოტებს და პროფესიონალებს. მადლობა მინდა გითხრათ მოთმინებისათვის, გაგებისა და თანადგომისათვის, დიდი მასუხისმგებლობისათვის და შრომისათვის. ხელისუფლება შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს გააკეთებს თქვენი მატერიალური გაუმჯობესებისათვის, თქვენთვის ღირსეული პირობების შექმნისათვის, თქვენი განვითარებისათვის, თქვენ ეს გეკუთვნით, თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ.

ვაჟა შუბითიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გვირგვინით შეამკეს

27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გემგებელი გიორგი გურასპაშვილი და მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ.

მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს გმირთა ხსოვნას.

ხაშურის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლმა გიორგი გურასპაშვილმა მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ გომში, ძველი ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

სამუშაოები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. დაგეგმილია, შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აქ სპორტულ-კულტურული ცენტრი მოეწყოს, რომელიც სოფელ გომში ყველა თაობის წარმომადგენელთათვის შეხვედრების, დასვენებისა და კულტურული ცხოვრებისთვის გამოყოფილი კომფორტული სივრცე იქნება.

შეხვედრები ამომრჩევლებთან

ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, საკრებულოს წევრებს დაევალათ, ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების ორგანიზებულად ჩატარება და მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ კანონითა და რეგლამენტით გათვალისწინებული ანგარიშების გამოქვეყნება. აღნიშნული ბრძანება უკვე ამოქმედდა. საკუთარ ამომრჩევლებს უკვე შეხვდნენ: წრომის მაჟორიტარი დეპუტატი ემზარ მურჯიკნელი, ალის მაჟორიტარი ზურაბ ნოზაძე, ხალების მაჟორიტარი ნოვე ტაბატაძე, წაღვლის მაჟორიტარი მალხაზ ლომიძე და "კონსერვატიული პარტიის" ხაშურის ორგანიზაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ კიკნაძე.

საკითხები შეხო აქტუალურ და პრობლემურ თემებს, რომლებთანაც ყოველდღიური შეხება უწევს მოსახლეობას. დეპუტატებმა ერთი წლის გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში ჩააბარეს საკუთარ ამომრჩევლებს. შეხვედრები დინამიურად მიმდინარეობდა ალის, წრომის, წაღვლის და ხალების ადმინისტრაციულ შენობებში. ანგარიშის მოსმენას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე, საკრებულოს წევრები, ადგილობრივი მოსახლეობა, გაიმართა დისკუსია. მოსხლეობამ შეკითხვები დაუსვა მაჟორიტარ წევრებს, საუბარი შეეხო, როგორც განხორციელებულ პროექტებს, ისე არსებულ პრობლემებს, რომელთა გადასაჭრელად დაიგეგმა კონკრეტული ღონისძიებები. საკრებულოს წევრების წლიური ანგარიშის მოსმენის პარალელურად, წინ იწევს მოსახლეობისათვის საინტერესო ისეთი საკითხები, როგორიცაა მიმდინარე პროექტები. ოკუპირებულ ისაზღვრისპირა წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები მოსახლეობა კმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ გაზიფიკაციისა და წყალმომარაგების პროექტის განხორციელებისათვის. საკრებულოს თავმჯდომარემ წაღვლის ალტერნატიული ბაღიც მოინახულა და სკოლის პედაგოგებს გაესაუბრა. აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებმა მოსახლეობამ დადებითად შეაფასა საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობა და ის ფაქტი, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა გახსნილად ისაუბრონ პრობლემებზე, დააფიქსირონ კრიტიკული მოსაზრება და საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიონ სოფლისათვის საჭირო პრიორიტეტები.

ძვირფასო თანამოქალაქენო, საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენო თანამემამულენო!

2015 წლის 22 ივნისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ მხარი დაუჭირა ქ. ხაშურში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას. 2015 წლის 10 ივლისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატმა და კანცლერმა ასევე მოიწონეს ფილიალის დებულება, რომელიც მათ წარუდგინა ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალში, რომელიც მოემსახურება არა მარტო ხაშურელი, არამედ მეზობელი მუნიციპალიტეტების ახალგაზრდობის განათლებას, ლექციებს ჩაატარებენ თბილისიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური პროფესორები.

ხაშურის ინტელიგენციისა და ყველა ნამდვილი ხაშურელის დიდი ხნის ოცნების ასრულება რეალური ხდება. უკვე შერჩეულია როგორც პროფესორთა შემადგენლობა, ასევე საუნივერსიტეტო შენობაც, რომელიც ფილიალს უანგაროდ დაუთმო სურამ-ხაშურის ეპარქიის მმართველმა, მეუფე სვიმეონმა. მისი ლოცვა-კურთხევით, დაარსდა ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების ფონდი, რომელიც მოახდენს შენობის რეაბილიტაციისა და გარემონტებისათვის განკუთვნილი თანხების მობილიზებას, რაც მთლიანად მოხმარდება ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეს. ეს ფილიალი ყველამ ერთად უნდა ავაშენოთ და გავხსნათ 2016 წლის სექტემბრისათვის, ისევე როგორც ეკლესიას აშენებს ხოლმე მთელი ერი.

იქმნება სპეციალური წიგნი, რომელშიც აღირიცხება ყველა შემოწირული თანხა და შემომწირველის გვარ-სახელი, რათა იგი შემოვუნახოთ შთამომავლობას.

თქვენ შეგიძლიათ, შესაძლებლობების ფარგლებში, თანხის შეწირვით საპატიო წვლილი შეიტანოთ ამ დიდ მამულიშვილურ საქმეში და ხელი შეუწყოთ ფილიალის დროულად გახსნას.

ფონდის ანგარიშის ნომერია: GE62LB0115121887321100 0

„ლიბერთი ბანკის" ხაშურის ფილიალი LBRTGE22

ხაშურის კულტურულ-საგანმანათლებლო აღორძინების ფონდი

ა ნ გ ა რ ი შ ი
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სავანე“-ს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

2015 წლის 9 თვეში ა(ა)იპ-ი „სავანე“-ს მიერ განხორციელდა და შესრულებული იქნა ყველა ის სამუშაო, რომელიც გათვალისწინებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 11 დეკემბერს დამტკიცებული №198 „ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის“ და №199 „ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ესთეთიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობის “ სამუშაო პროგრამებით. კერძოდ:

„ხაშურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამის “გათვალისწინებით განხორციელდა ზემოსერის, გორათის და ჭალის სასაფლაოებზე შემდეგი სამუშაოების შესრულება. ზემოსერის სასაფლაოზე მოხდა შიდა კვარტალური გზების მოხრეშვა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილებას სასფლაოს ტერიტორიაზე, ასევე მოხდა წლების განმავლობაში დაზიანებული ღობის აღდგენა-შეღებვა, რამაც ხელი შეუწყო სასაფლაოს ტერიტორიის დაცულობას და დასუფთავებას. ამავდროულად, შეკეთდა ე.წ. არხზე გადასავლელი მილი, რაც დიდ პრობლემას უქმნიდა ავტომანქანით გადაადგილებას. ამასთან ერთად, ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობდა გორათის და ჭალის სასაფლაოების დასუფთავება-

ზე, უპატრონო საფლავების მოვლა-პატრონობაზე, სარეველა ბალახების გათიბვაზე და სხვა. ამავდროულად ჭალის სასაფლაო საჭიროებს შემოღობვას, რათა მოხდეს სასაფლაოს დაცვა დანაგვიანებისაგან.

“ხაშურის გამწვანების ტერიტორიებისა და ობიექტების, ხე-მცენარეებისა და სხვა ნარგაობების მოვლა-პატრონობის ხელშეწყობის ქვეპროგრამით მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე ყოველდღიურად მიმდინარეობს ქ.ხაშურში არსებული 27 სკვერის, გაზონის და სასეირნო ბაღის დაგვა-დასუფთავება, რომელსაც ემსახურება ოთხი მეეზოვე, ხოლო სასეირნო ბაღს -3 მეეზოვე,

აღნიშნულ სკვერებში, გაზონებში და სასეირნო ბაღში ვატარებთ აგროტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ სამუშაოებს: ბარვას, თოხვნას, მარგვლას, სკვერებში წითელი გზების გასუფთავებას სარეველებისაგან, ჰერბიციდების და სასუქების შეტანას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეების გადაბელვას და გადაბერებული და ამორტიზებული ხეების მოჭრას, ყვავილნარების მოწყობას, სკვერებისა და გაზონების სათიბელით გათიბვას, ყვავილებისა და მოლის მორწყვას, სარწყავი მანქანის მეშვეობით. ზამთარში ვახდენთ ხეებიდან თოვლის ჩამობერტყვას და სკვერებში საცალფეხო ბილიკების გასუფთავებას. გადაბელილი და მოჭრილი ხეები იკოტრება და ვუზრუნველყოფთ სოციალურად დაუცველ ოჯახებს თითოეულს 3 მ. კუბ საშეშე მერქნით. დღეის მდგომარეობით მოჭრილია 16 ძირი ხმელი და გადაბელილია 22 ძირი ხე, რომლითაც დაკმაყოფილებულია 18 სოციალურად დაუცველი ოჯახი 54 მ.კუბ-ის საშეშე მერქნით.

გაზაფხულზე განხორციელდა ხეების ძირების შეთეთრება კირის ხსნარით. წელს ხაშურისა და სურამის ქუჩებში შეთეთრებულია 2849 ძირი ხე (858 ძირით მეტი ვიდრე წინა წელს).

განხორციელდა ხაშურის ცენტრალურ სკვერებში 1000 ცალი ვარდისა და სხვადასხვა ჯიშის ყვავილების დარგვა და მოვლა-პატრონობა.

ხაშურის დასვენებისა და კულტურის სასეირნო ბაღში დაირგო 40 ძირი სოჭის და 7 ძირი არყის ჯიშის ხეების ნერგები.

ა(ა)იპ-ის სანერგე მეურნეობის ნაკვეთში, დღეის მდგომარეობით, გამორგულია შემდეგი ჯიშის ახალგაზრდა ნარგაობები: თრიმლი - 100 ძირი, საპნის ხე- 100 ძირი, კოპიტი - 200 ძირი, მუხა - 150 ძირი, ცაცხვი 200 ძირი, ცხენის წაბლი- 100 ძირი, ნეკერჩხალი - 230 ძირი ვარდი 200 ძირი. აქედან 60 ძირი ცაცხვისა და 50 ძირი ნეკერჩხლის ჯიშის ნარგაობები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების მიერ ოსიაურის, წრომისა და ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულებში გატანილი და დარგული იქნა ადმინისტარციული ერთეულების შესაბამის ტეროტორიებზე.

სანერგე ნაკვეთის ტერიტორიაზე გამოყვანილი ჩითილებიდან გამორგულია ქალაქის სკვერებში “ასტრის“,„მამლის ბიბილოს“,„ტეგეტას ნანას“, „ცინის“ და „კალენდულას“ ჯიშის ათი ათასზე მეტი ყვავილის ჩითილი.

„მაწანწალა და უმეთვალყურეო ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვა-იზოლირების ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამიით“ გათვალისწინებულია მაწანწალა და მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, რაიონიდან გაყვანის, კასტრაციის და დაავადებული ძაღლების ევთანაზიის სამუშაოები. დღეის მდგომარეობით, სპეციალური ბრიგადის მიერ, რაიონის მოსახლეობის მიერ მოწოდებული განცხადებების საფუძველზე, დაჭერილი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი არის 110 ერთეული ძაღლი. უახლოეს პერიოდში შეძენილი იქნება სპეციალური ინვენტარი ძაღლების კასტრაციის ჩასატარებლად, კასტრირებულ ძაღლებს ყურზე გაუკეთდებათ ბირკები და გაშვებულები იქნებიან იმავე ტერიტორიაზე.

ამასთანავე, პარალერულად მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულება, როგორიცაა:

ხაშურის დასვენებისა და კულტურის სასეირნო ბაღში აღდგენილია საკანალიზაციო ხაზი, დასალევი წყლის ნიჟარა და ცენტრალური შადრევანი;

რეაბილიტაცია გაუკეთდა სასეირნო ბაღის ცენტრალური შესასვლელის ფასადს..

კინოთეატრ „რუსთაველი“-ს გვერდით არსებულ სკვერში განხორციელდა შადრევნის აღდგენა, მასთან მიმდებარე კიბისა და მოაჯირების აღდგენა და შეღებვა. ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების წინ მდებარე სკვერში შესრულებულია მოაჯირების მოწყობის სამუშაოები;

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დავალებით შესრულებულია მინი სტადიონის შემოღობვის, სანატორიმ „სურამთან“ ავარიული კანალიზაციის აღდგენის და ჩუმათელეთში სათავე ნაგებობის გაწმენდის სამუშაოები.

სოფ. მიწობში გაიჭრა 600 მეტრიანი თხრილი სასმელის წყლის პოლიეთილენის მილების ჩასაწყობად.

აღდგენილი იქნა სარწყავი მანქანა „გაზ-53“;

სოფელ ხცისში აღდგენილი იქნა სასმელი წყლის მიწოდება;

გარემონტდა სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე სურამულაზე გადასასვლელი ხიდის მოაჯირი,

„ლიტვის პარკისა“ და პოლიციასთან მდებარე შადრევნები;

ასევე მიმდინარეობს ხაშურის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამუშაოები. კერძოდ რკინიგზის კულტურის სახლის და სასეირნო ბაღის კეთილმოწყობის სამუშაოები.

ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველი ოჯახების გასათბობი შეშით დაკმაყოფილების მიზნით, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, კერძოდ ამორტიზებული ხეების მოჭრა- გადაბელვა, დამუშავება და ადგილზე მიტანა.

შოთა კოპაძე,
ა(ა)იპ-ი „სავანე“-ს დირექტორი

ინფორმაცია განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის ოქტომბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ

2014 წლის ზაფხულის პერიოდში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 საბავშვო ბაღს: სოფელ ოსიაურში და სოფელ ცხრამუხაში, 2015 წელში კი, რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს მე–3, მე–4, მე–5, მე–7 და მე–9 საბავშვო ბაღებში, ხოლო ახალი შენობა აშენდა სოფელ ვაყაში. ამ პერიოდის განმავლობაში მოხდა სოფელ ცხრამუხის, სოფელ ოსიაურის საბავშვო ბაღების გაზიფიცირება და ცენტრალური გათბობის დამონტაჟება ოსიაურის ბაღში. უახლოეს პერიოდში იგეგმება დანარჩენი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაზიფიცირებაც.

ხაშურის სამუსიკო სკოლაში გარემონტდა და რბილი სკამებით აღიჭურვა საკონცერტო დარბაზი. ამჟამად მიმდინარეობს სკოლის გარე ფასადის მოპირკეთების სამუშაოები.

წელს პირველად, ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, შესაძლებელი გახდა უფასო ინტერნეტით სარგებლობა.

მოხდა ბიბლიოთეკისადა საქალაქო კულტურის სახლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო თოჯინების თეატრის დარბაზი.

მუნიციპალიტეტმა მრავალწლიანი პაუზის შემდეგ აღადგინა კინო ჩვენების ტრადიცია და მ/წ ზაფხულში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ეროვნულ კინო ცენტრთან თანამშრომლობით, მოაწყო სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილე ახალი ქართული ფილმების ჩვენება დიდ ეკრანზე.

მიმდინარე წლის დასაწყისში, იანვრის თვეში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნა შობა–ახალი წლის დღესასწაული. ახალი წლის ღამეს, ღია ცის ქვეშ, შოუ–ბიზნესის ცნობადი სახეების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი, რომელიც დასრულდა ფეიერვერკით.

მარტის თვეში აღინიშნა 3 მარტისა და 8 მარტის დედათა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 3 მარტს ჩვილი ბავშვისთვის საჭირო ნივთებით დასაჩუქრდნენ სამშობიარო სახლში მყოფი დედები, ხოლო სარვამარტოდ დასაჩუქრდნენ მუნიციპალიტეტის უხუცესი ქალბატონები.

ღონისძიებით აღინიშნა 9 აპრილიც. სკვერში, სადაც უკვე მრავალი წელი გამოყოფილი იყო ადგილი, სადაც უნდა აღმართულიყო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, წელს, უკვე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები და უახლოეს დღეებში იგეგმება მემორიალის საზეიმოდ გახსნა.

9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გვირგვინებით შეიმკო დაღუპულთა მემორიალი, გაიმართა ვეტერანებთან შეხვედრა და სანახაობრივი წარმოდგენა, სადაც მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მოსწავლეებმა და კულტურის ცენტრების გაერთიანების ფოლკლორული ანსამბლის წევრებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს საკუთარი შემოქმედება. თითოეულ ვეტერანს საჩუქრად გადაეცა სასურსათო პაკეტი.

წელს, ჩვენს ქალაქში, გრანდიოზულად აღინიშნა 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. ამ დღესთან დაკავშირებით, ხაშურს სტუმრობდა ლატვიის ქ. ბაუსკას ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჟანდალსი“. ანსამბლის წევრებმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან და შემოქმედებით ანსამბლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამართულ საზეიმო მსვლელობაში ეროვნული სამოსითა და დროშებით.

ასევე დიდი ზეიმით აღინიშნა 1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, ღია ცის ქვეშ. ღონისძიების მონაწილე თითოეული პატარა დასაჩუქრდა ფერად–ფერადი საჰაერო ბუშტითა და ნაყინით. საქალაქო კულტურის სახლში კი, გაიმართა კონცერტი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა მონაწილეობით.

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო–რუსეთის ომის ხსოვნასთან დაკავშირებული კვირეული აღინიშნა ღონისძიებებით. გვირგვინებით შეიმკო ომში დაღუპულთა საფლავები.

ასევე გვირგვინით შეიმკო 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალი.

ზეიმით აღინიშნა სასწავლო წლის დაწყება – ღია ცის ქვეშ ჩატარდა კონცერტი მოწვეული სოლო შემსრულებლების მონაწილეობით.

ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის ჩატარდა კონკურსი „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ და ინტელექტუალური თამაში „ბიგ რაუნდი“. აღნიშნულ თამაშში გამარჯვებულმა დიმიტრი ყიფიანის სახელობის საპატრიარქო სკოლის გუნდმა საქართველოს მასშტაბითაც წარმატება მოიპოვა და თამაშში „რა, სად, როდის?“ ჯერ რეგიონის, შემდეგ კი, საქართველოს ჩემპიონიც გახდა. მიღწეული შედეგებისა და მომავალში მეტი სტიმულისათვის, გუნდის თითოეული წევრი მუნიციპალიტეტმა ფულადი ჯილდოთი დაასაჩუქრა.

ამასთანავე, ორგანიზება გაეწია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ინტელექტის დღესთან დაკავშირებულ კონკურსს.

2014–2015 წლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო პროექტ „ეტალონში“. პროექტში გამარჯვებულს გადაეცა კომპიუტერი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მე–2 საჯარო სკოლას „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა დღის მოვლის ცენტრის“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, რომელიც გათვლილია 20 მოსწავლეზე, 2014 წელს გადაეცა საოჯახო კინოთეატრი, ფოტოაპარატი და კომპიუტერი.

2014–2015 წლებში მუნიციპალიტეტისა და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით მოეწყო დასუფთავების აქციები.

მუნიციპალიტეტში ფოლკლორისა და ტურიზმის განვითარებისათვის, მ/წ ზაფხულში, დაბა სურამში, ბაიანთხევის ტყე–პარკში ჩატარდა ფესტივალი „არტ-გენი“. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ქართული ხალხური საბრძოლო ხელოვნების „ხრიდოლის“ ჩვენება, როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი მუნიციპალიტეტების ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების დათვალიერება. სასიამოვნო დღე დასრულდა მუსიკალური ჯგუფების „რაჭველებისა“ და „ფრანის“ კონცერტით.

მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით, ხაშურის სამუსიკო სკოლის სამი წარმატებული მოსწავლე გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში, კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე.

წელს პირველად, ხაშურის მუნიციპალიტეტმა დააწესა „დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია“ და პრემიით გათვალისწინებული 2500–2500 ლარი, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე გადასცა ააიპ სამუზეუმო გაერთიანების დირექტორს თამაზ ლაცაბიძეს და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისათვის – პროფესორ გურამ ყორანაშვილს.

2014 წლის ოქტომბერში გაიმართა სახალხო დღესასწაული „ხაშური – ოქროს შემოდგომა 2014“, რომლის ფარგლებში აღინიშნა „ხაშურლობა“ და ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის დღესასწაული “ლესიაობა”. ღონისძიებებზე ვუმასპინძლეთ უკრაინის, ლიტვისა და ლატვიის დამეგობრებული ქალაქების დელეგაციებს; ასევე 2015წლის ოქტომბრის თვეში დაგეგმილია ანალოგიური სახალხო დღესასწაული. ამჯერად მუნიციპალიტეტი უმასპინძლებს უკრაინის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის და ისრაელის დელეგაციებს.

2014–2015 წლებში პერიოდულად ტარდებოდა კონცერტები და ღონისძიებები ცნობადი სახეების მონაწილეობით. ხაშურმა უმასპინძლა მსახიობ ლეო ანთაძეს მონო–სპექტაკლით და ახალგაზრდულ შემოქმედებით გაერთიანება „ეროვნულ იმპერატივს“– სპექტაკლით „გზა ილიასი“.

2014 წლის ოქტომბერში, რეაბილიტაციის შემდეგ, მუშაობა განაახლა თოჯინების თეატრმა, დარბაზიც გათვლილია 100 ბავშვზე. შეძენილ იქნა ახალი თოჯინები და დაიდგა თოჯინური სპექტაკლი „სატკბილეთის ქვეყანა”, ხაშურის თოჯინების თეატრმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ნარინჯისფერი ქობულეთი“, სადაც მიიღო ოქროს მედალი და ლაურიატის წოდება, საახალწლოდ კი ბავშვებისთვის გაიმართა ნაძვის ხის ზეიმი „მრავალ ახალ წელს”;

ფუნქციონირება გაანახლა კულტურის ცენტრთან არსებულმა დრამატულმა თეატრმა, რომელმაც სეზონურად წარმოადგინა სპეტაკლები.

2014 წელს სამუსიკო სკოლას მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გადაეცა 5 ვიოლინო და პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოები.

საანგარიშო კონცერტები გამართეს ხაშურის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების თვალსაზრისით განხორციელდა სხვადასხვა დონის სპორტული შიდა, რეგიონალური და რესპუბლიკური ტურნირები სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთი, კალათბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა-ძიუდო, ჭიდაობა-სამბო, თავისუფალი ჭიდაობა, ჭადრაკი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, აგრეთვე გაიმართა საერთაშორისო მასშტაბის ვახტანგ კვინიკაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეზობელი ქვეყნების: თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის წარმომადგენლებმა.

ჩვენი მუნიციპალიტეტის საამაყოდ, 2014–2015 წლებში გვყავს საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები ჭიდაობა სამბოში, თავისუფალ ჭიდაობაში. წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით. წელს პირველად, მუნიციპალიტეტმა დააფინანსა თავისუფალი ჭიდაობის საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრების მწვრთნელი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობისათვის. ჩვენი სპორტსმენებისათვის დიდი სტიმული იყო საკუთარი მწვრთნელის ყოფნა საერთაშორისო დონის ასპარეზობაზე და მათ მოიპოვეს კიდევაც დიდი წარმატებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სპორტსმენების და მწვრთნელების კვების დღიური თანხა გასვლით ასპარეზობებზე გაიზარდა. გაიზარდა მწვრთნელების ხელფასები. გარემონტდა და საჭირო ინვენტარით აღიჭურვა ძალოსნობის დარბაზი სოფ. კლდისწყაროში. ასევე შეძენილ იქნა სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის შესაბამისი ინვენტარი. ხაშურში და დაბა სურამში დაემატა რაგბის ჯგუფები.

ასევე გაიზარდა საფეხბურთო გუნდ „ივერიის“ წევრებისა და მათი მწვრთელების კვების ხარჯები.

საზეიმო ვითარებაში მოხდა 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩირაღდნის შემობრძანება ჩვენს მუნიციპალიტეტში.

2015 წლის მაისის თვეში მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ააიპ გაზეთი „ხაშურის მოამბე“. გაზეთი გამოდის კვირაში ერთხელ და მასში ქვეყნდება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი, შუქდება მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული და მიმდინარე სამუშაოები. გაზეთთან ერთად, ყოველთვიურად, გამოდის ლიტერატურული დამატება, რომელშიც ქვეყნდება ადგილობრივ ლიტარატორტთა შემოქმედება.

2014–2015 წლებში, ხაშურის მუზეუმში, გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება: აღინიშნა წმინდა დიმიტრი ყიფიანის ხსენების დღე, მუზეუმის საერთაშორისო დღე, აღდგა მუზეუმის ლექტორიუმი, ლექციები წაიკითხეს ცნობილმა პროფესორებმა. მოეწყო გამოფენები „ახალი სიცოცხლე მუზეუმის ექსპონატებს”, „საქართველო - ვაზის სამშობლო“, მოეწყო არქეოლოგიური სამარხის იმიტაცია. აღნიშნულ პროექტებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. რესტავრაცია ჩაუტარდა არქეოლოგიურ, დოკუმენტურ და ფოტომასალებს. ამასთანავე, სათანადო ყურადღება დაეთმო ხაშურის მუზეუმის ფონდების შევსებას ახალი მასალებით.

ღონისძიებებით დატვირთული იყო ხაშურის ბიბლიოთეკა სხვადასხვა კლუბებში გაწევრიანებული მოსწავლეების მონაწილეობით.

მთლიანად, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ კოორდინაცია და ხელმძღვანელობა ეწევა მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო–არაკომერციულ იურიდიულ პირებს (ააიპ): ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტს, სამუზეუმო გაერთიანებას, სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის კომლპექსურ სასპორტო სკოლას, კულტურის ცენტრების გაერთიანებას, სკოლისგარეშე სახელოვნებო–საგანმანათლებლო ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, გაზეთ „ხაშური მოამბეს“ და სკოლამდელი აღზრდის ცამეტ დაწესებულებას.

კ. ფრუიძე,

განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი დაჯილდოვდა ანიმა მუნდი ლიტვა-საქართველო" მთავარი პრიზით

3 სექტემბერს, თბილისის ისტორიის მუზეუმში, რიგითი მესამე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „ანემა მუნდი – 2015 „ გაიხსნა, ფესტივალი ორ ქვეყანაში – ლიტვასა და საქართველოში 24 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა, რომლის ფარგლებში ორი ქალაქი თბილისი და შიაულიაი აერთიანებს მხატვრებს მთელი მსოფლიოდან და ხელს უწყობს ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული დიალოგის გაღრმავებას. ფესტივალში ჩართული იყვნენ ხელოვანები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან: მათ შორის, 30 მხატვარი, გრაფიკული დიზაინერი, ფოტოგრაფი ვიზუალური არტისტი 12 ქვეყნიდან – შვედეთიდან, კუბიდან, ინდონეზიიდან, ნიგერიიდან, აშშ–დან, ირანიდან, ლიტვიდან, თურქეთიდან, არგენტინიდან, იაპონიიდან, საქართველოდან და ლატვიიდან. ფესტივალის მიზანი იყო ორი ქვეყნის ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური იდენტობისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და ორი ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია შემოქმედებითი ფორმით, ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი იყო გამოფენები, კონფერენციები, სემინარები და დისკუსიები სხვადასხვა თემაზე. საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი გახლდათ ზიტა ვილუტიტე, ხელოვნებათმცოდნე და მხატვარი, თანაშემწე კი – ჩვენი თანამემამულე, მხატვარი ალეკო ლომაძე (ქალბატონ ზიტას მეუღლე). უნდა აღინიშნოს, რომ ალეკო ლომაძე გავიცანი ქვიშხეთში, 2014 წელს, დიმიტრი ყიფიანის 200 წლისთავისადმი აღსანიშნავ საიუბილეო დღეებში, როცა მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი, რაც მუზეუმისთვის უნიკალური შენაძენია, ჩვენი ურთიერთობა გადაიზარდა მეგობრობაში. შეხვედრების მთავარი თემა ყოველთვის დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმია – მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე. ქალბატონმა ზიტამ და ბატონმა ალეკომ მუზეუმის დღევანდელი მდგომარეობა გაითვალისწინეს, როგორც მუზეუმის მეგობრები და მიმიწვიეს საერთაშორისო ფესტივალზე, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ფესტივალის დღეებში ვეხმარებოდი გამოფენების, კონფერენციების, დისკუსიების მოწყობაში (ერთი დღე მიეძღვნა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას), სტუმრებს დავათვალიერებინე ცისფერი გალერეა (ფიროსმანის გამოფენა), ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდი და სხვა. ფესტივალის დღეებში ბატონმა ალეკომ და ქალბატონმა ზიტამ, თვალსაჩინო ადგილზე მომიწყეს სახლ–მუზეუმის შენობისა და საექსპოზიციო დარბაზების დაზიანებული ადგილების ფოტოსურათების სტენდი, სადაც კარგად ჩანდა, რომ მუზეუმი დანგრევის პირასაა მისული, იქვე იყო დალაგებული დიმიტრი ყიფიანის სახელობის საქველმოქმედო ორგანიზაციის მიმღების ანგარიშის ნომრების ბარათები და საქველმოქმედო სპეციალური ყუთი წარწერით: „დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმის ფონდისთვის. (ფესტივალის დირექტორმა, ქალბატონმა ზიტამ, ფესტივალის გახსნის დროს მოსულ სტუმრებს სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების, საკონსულოების წარმომადგენლებს, მხატვრებს, მათ შორის იმყოფებოდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, დაურიგა ანგარიშის ბარათები)", ფესტივალის ხელმძღვანელობამ, მონაწილეებმა დიდი მხარდაჭერა გამოუცხადეს დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმს და მხატვართა ერთმა ნაწილმა გადმოსცა ხელოვნების 7 ნიმუში, იმ თვალსაზრისით, რომ ნახატები გაიყიდოს და შემოსული თანხა გადაირიცხოს სახლ–მუზეუმის ფონდის ანგარიშზე, შენობის რეკონსტრუქციისთვის, ამჟამად, ნამუშევრები გადატანილია სამების ტაძარში და სულ მალე ჩვენ სამების ახალგაზრდულ ცენტრში ჩავატარებთ ღონისძიებას, რომელიც მიეძღვნება ქველმოქმედებას და აქვე გადაწყდება ნამუშევრების ბედი (თუ ვერ მოხერხდება ნამუშევრების, ქველმოქმედების მიზნით, გაყიდვა, ნამუშევრები ბინას დაიდებს დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმში). ნამუშევრებს შორის არის „ივერიის ღვთისმშობლის ხატი" – ავტორი ალეკო ლომაძე (საქართველო), „დათო ყიფიანის პორტრეტი" ავტორი ალეკო ლომაძე, „ანგელოზი" – ავტორი ზიტა ვილულიტე (ლიტვა), „ათას ერთი ღამე" – ავტორი – ელმირა შოკ რომ (ირანი), – „ჩრდილი" – ავტორი აინა რუტნინა (ლატვია), „ხატი" – ავტორი შაკო კოლაძე (საქართველო). ერთ ნომინაციაში, ფესტივალის მიმდინარეობის პერიოდში მუშაობდა სპეციალური ჟიური. ჟიურისა და ფესტივალის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ორი ქვეყნის ლიტვა–საქართველოს შორის კულტურული და მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებისთვის დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმი დაჯილდოვდა ფესტივალის მთავრი პრიზით „ანიმა მუნდი 2015 ლიტვა–საქართველო".



რევაზ ნოხაძე, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ–მუზეუმის მენეჯერი

გაცრეცილი ფოტოები

კვლავ ვუბრუნდებით რუბრიკას „გაცრეცილი ფოტოები". რამდენ ინფორმაციას იტევს ეს კადრები, თითოეულში იმ ეპოქის, იმ წლების სუნთქვა იგრძნობა. ეს წინა საუკუნის ოთხმოციანი წლებია, როდესაც ჩვენი რაიონი მართლაც ინდუსტრიულ რაიონად ითვლებოდა თავისი სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებითა და ათასობით დასაქმებული მუშა-ხელით. ღმერთმანი, არ მივსტირით იმ წლებს და არც კომუნისტური ეპოქის ნოსტალგია გვაქვს, მაგრამ ნამდვილად ვნატრობთ, ამდენი დასაქმებული კვლავ იყოს, რომ ეკონომიკას მუდამ აღმავლობა ჰქონდეს.

რაც შეეხება ფოტოებს, მარცხენა სურათზე შუშის ქარხნის რამდენიმე მშრომელია ასახული, რომელთაც მაშინდელი პარტიის რაიკომის მეორე მდივანი, ქალბატონი ეთერ ახვლედიანი (ცენტრში) ესაუბრება. სამწუხაროდ, არქივმა დანარჩენების ვინაობა არ დააფიქსირა.

შემდეგ ფოტოზე (მარჯვნივ მაღლა) კი საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის მშრომელთა ერთი ჯგუფია. აი, აქ უკვე გვარ-სახელებიც შემოგვინახა ფოტომ (მარცხნიდან): ქვეოსტატი ჯუმბერ ბარბაქაძე, მქსოველები ნორა ტალახაძე, ლია ბარბაქაძე, ლალი აბრამაშვილი და ნანული აბრამაშვილი.

მესამე ფოტოზე ქვიშხეთის მეურნეობის რთველია ასახული, როდესაც ბარაქაც იყო და დიდი დოვლათიც. ამ ფოტოზე მხოლოდ მარცხნივ მდგომი მამაკაცის ვინაობა ვერ დავადგინეთ. დანარჩენები კი მარიამ ტაბატაძე, სერგო ქალიაშვილი (ბრიგადირი)) და იასონ მჭედლიშვილი არიან.

5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღეა

ახალი სასწავლო პროცესის დაწყება განსაკუთრებულ, ამაღლებულ განწყობას უქმნის პედაგოგებს და სკოლის კედლებში მომსახურე ყველა პერსონალს. პროფესიული მოვალეობის მაღალი პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარული პედაგოგს ავიწყებს იმ რთულ და პრობლემებით სავსე ცხოვრებას, რაც ამ პროფესიას თან ახლავს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი არის სოციალურ სამართლიანობაზე, დემოკრატიულ პრინციპებზე, ხარისხიან განათლებაზე, პროფესიული განათლების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ორგანიზაცია, რომელიც ასევე, არის მსოფლიოს პროფკავშირების ინტერნაციონალის სრულუფლებიანი წევრი და 171 ქვეყანას აერთიანებს. წლევანდელი წელი პედაგოგებისათვის იწყება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვით და აქტიური საქმიანობით. რაც პედაგოგიური საქმიანობის სწორად წარმართვასა და მათი შრომის დირსეულად დაფასებას შეუწყობს ხელს. უფრო ზუსტად, ორგანიზაციის საქმიანობის და

პედაგოგებისათვის ხელშეწყობის პროგრამებზე, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი-შუბითიძე ისაუბრებს:

_ქალბატონო ინეზა, როგორც ვიცით, წელს მასწავლებელთა ხელფასების ეტაპობრივი ზრდაა დაგეგმილი, რა რაოდენობით და მასწავლებელთა რა კატეგორიისთვისაა გათვალისწინებული სახელფასო დანამატები?

–წლევანდელ სასწავლო წელს პედაგოგები მიიღებენ 50 ლარიან დანამატს ხელფასზე და ამ რაოდენობით მატება მოხდება წელიწადში ორჯერ. თუ პედაგოგს აქვს სრულზე მეტი დატვირთვა და ატარებს 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს, 19-დან 25 საგაკვეთილო საათამდე ჩატარებისას მასწავლებელს სრული განაკვეთის ხელფასზე ეძლევა დანამატი ყოველ შემდეგ საათზე 5 ლარის ოდენობით, მე-8 მუხლის და მე-4 პუნქტის შესაბამისად. უფროსი მასწავლებლის სტატუსის დანამატი,–2015 წლის სექტემბრის მდგომარეობით, განისაზღვრება 160 ლარით. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის დანამატი –250 ლარით და მენტორი მასწავლებლის –300 ლარით. მასწავლებლის შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგოსა და დანამატებისგან, რის საფუძველზეც საშვებულებო თანხა გამოითვლება სრული ოდენობით. მასწავლებლის ხელფასი დამოკიდებულია ცენზზე და სტაჟზე. 50 ლარის დანამატის შემთხვევაში, საბაზო ხელფასი აითვლება 355 ლარიდან. შედგენილი გვაქვს ცხრილი, თუ რის მიხედვით გამოანგარიშდება დანამატების შემდეგ მასწავლებლის ხელფასი, რომლის შესახებაც ინფორმაცია გადაეცემა თითოეულ სკოლას.

_ახალი შრომის კოდექსი მასწავლებლებთან ურთიერთობის ახალ ფორმასაც გულისხმობს...

–წლევანდელი სასწავლო წელი გამოირჩევა იმითაც, რომ საჯარო სკოლის დამსაქმებლები დასაქმებულ პირებთან ახალი შრომის კოდექსის მიხედვით, გააფორმებენ ხელშეკრულებას. კერძოდ: ხელშეკრულება უვადოდ დადებულად ითვლება 2014 წლის 4 ივლისიდან იმ დამსაქმებელთან (პედაგოგთან), რომელთანაც შრომითი ურთიერთობა 2013 წლის 4 ივლისისთვის გრძელდებოდა 5 წლის, ან მეტი ხნის განმავლობაში. რაც შეეხება 2013 წლის 4 ივლისის შემდეგ გაფორმებულ ხელშეკრულებებს: თუ ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით,ან თუ შრომითი ხელშეკრულება გრძელდება ვადიანი ხელშეკრულების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო ხელშეკრულება.

ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე, ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში. ეს ნიშნავს იმას,რომ თუ პედაგოგთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 4 ივლისის შემდეგ, ახალი სასწავლო წლიდან გაფორმებული ერთწლიანი ხელშეკრულების მიხედვით, ნამუშევარი პერიოდი გამოდის ჯამში 30 თვეზე მეტი, ასეთი ხელშეკრულება ავტომატიურად ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

რაც შეეხება ერთ წელზე ნაკლები ვადით შრომის ხელშეკრულების დაუშვებლობას, შრომის კოდექსის მიხედვით, ერთ წელზე ნაკლები ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო;

ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო;

გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება;

დ) ხდება შრომითი ურთიერთობების შეჩერების სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება;

ე) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.

პედაგოგის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული რომელიმე გარემოება ვერ გახდება დასაქმებულთან 1 წელზე ნაკლები ვადით შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი.

_როგორ ხდება საათების გადანაწილება სკოლებში და იმ მასწავლებელთათვის სამუშაო საათების ანაზღაურება, რომლებიც არასამუშაო დღეებს სკოლაში ატარებენ?

–საათების განაწილება არ ხდება ერთპიროვნულად, მხოლოდ სკოლის დირექტორის მიერ. ამ პროცესში მონაწილეობას იღებენ საგნობრივი კათედრები, სამეურვეო საბჭო, დირექტორი და მტკიცდება პედსაბჭოზე. თუ პედაგოგს უწევს არასამუშაო დღეების გატარება სკოლაში, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების ჩატარების მიზნით, ან ისინი წარმოადგენენ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე მოწვეულ პირებს, მათ მიერ შესრულებული სამუშაო, შრომის კოდექსის მე-17-ე მუხლის თანახმად, უნდა ანაზღაურდეს.

_პედაგოგების გადამზადების ტრენინგების დაგეგმვაშიც მონაწილეობთ?

–საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ხაშურის რაიონულ ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს პრიორიტეტული საქმიანობა პრობლემატური საკითხების ეფექტურად გადასაწყვეტად, რაც შემუშავებულია პედაგოგიურ კოლექტივებთან შეხვედრების დროს.

გასულ სასწავლო წელს ყველა საგნის პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი, ტრენინგები ტარდება მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების სახლის ტრენერების მიერ, რომლებსაც ვიწვევთ საჭიროებისამებრ. უკვე შედგენილი გვაქვს სატრენინგო პროგრამა 2015-2016 სასწავლო წლისათვის და განსაზღვრულია, ჩატარდეს: გამოცდებისათვის მოსამზადებელი საგნობრივი ტრენინგები, თვითშეფასების კითხვარი, გაკვეთილების დაგეგმვა, ტრნინგები კლასის ხელმძღვანელებისათვის.

_რამდენადაც ვიცი, თქვენი პროფკავშირი ჩართულია ბაგა-ბაღებზე ზრუნვის პროცესშიც...

– განათლების ინტერნაციონალი მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბაგა-ბაღების პროფესიული განვითარება. ჩვენ, როგორც განათლების ინტერნაციონალის წევრი ორგანიზაცია, ვცდილობთ, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სკოლამდელი განათლების პრიორიტეტული საკითხების შემუშავებასა და პროფესიული ინტერესების დაცვის და ღირსეული დაფასების ხელშეწყობაში. ამ მიზნით, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებებს გადაეცათ მეთოდური ჟურნალი საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან სამუშაოდ. ტრენინგები გათვალისწინებულია აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებულთთვის. მუშაობის სწორად და ეფექტურად წარმართვაში დიდად გვიწყობს ხელს სპმთპ-ს თანამშრომლობა ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

_სხვა ტიპის შეღავათებით და ხელშეწყობით თუ სარგებლობენ მასწავლებლები?

–აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, გარკვეულწილად, აისახება ჩვენი ორგანიზაციის თითოეულ წევრზე, რის გამოც, ხშირად გვიწევს ქმედითი ღონისძიებების გატარება, ჩვენი რაიონის განათლების სისტემაში დასაქმებული პროფწევრები სარგებლობენ ჩვენს მიერ დაწესებული მთელი რიგი შეღავათებით-სტომატოლოგებთან, სილამაზის სალონებში, ფიზიო-თერაპევტთან, ზოგიერთ მაღაზიაში მომსახურებას უწევენ 30%-იანი ფასდაკლებით.

ყველა მუშაკს გადაეცა ჩვენს მიერ შემუშავებული საჭირო მასალებით

აღჭურვილი "მასწავლებლის დღიური", რაც მათ დაეხმარებათ უფლებების უკეთ გარკვევაში. ეტაპობრივად, ყველა საჯარო სკოლის მუშაკი ზაფხულის არდადეგებზე განტვირთვის და დასვენებისათვის უზრუნველვყავით სასწავლო ექსკურსიებით და საზაფხულო დასვენებით.

ჩვენი ორგანიზაცია თანამშრომლობს განათლების რესურსცენტრთან. ორივე მხარე დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტი სასიკეთო საქმე გაკეთდეს სკოლებისათვის და პედაგოგებმა წარმატებით გადალახონ ყველა ის სიძნელე, რაც მათ მუშაობის პროცესში ხვდებათ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო მასწავლებლის საერთაშორისო დღე და ახალი სასწავლო წლის დაწყება ყველა პედაგოგს, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მანდატურებს, მშობლებს, მოსწავლეებს, განათლების რესურსცენტრის თანამშრომლებს, სკოლიდან გასულ პენსიონერ პედაგოგებს. ღრმად ვარ დარწმუნებული,, რომ ჩვენი ერთობლივი თანამშრომლობით, ნამდვილად გვექნება წინსვლა განათლების სისტემაში მომავალი თაობის აღზრდის საპასუხისმგებლო და საქვეყნო საქმეში.

საჭიდაო არენა განახლდება

ქვემო ოსიაურში მდებარე საჭიდაო არენა კარგა ხანია რეაბილიტაციას ითხოვდა. ამ არენაზე ბევრი ღირსეული მოჭიდავე აღზრდილა. წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მისი რეაბილიტაცია შესაძლებელი გახდა. მისი დასრულების შემდეგ სოფელ ოსიაურის მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ჭიდაობის მოყვარულებს, შესაძლებლობა ექნებათ სპორტით გაუმჯობესებულ გარემოში დაკავდნენ.

ოხი ჩემპიონი ხაშურიდან

ამ დღეებში ბათუმში, დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ჭიდაობის მოყვარულთათვის ქართული ჭიდაობის კონტექსტში სიტყვა „საერთაშორისო“, ერთი შეხედვით, თითქოს ზედმეტია. მაგრამ ასე სულაც არაა. ქართული ჭიდაობის ფედერაცია ბევრს მუშაობს, რომ ქართული სპორტის ეს მარგალიტი მართლაც საერთაშორისო აქციოს და ამის დასტური ბათუმის ტურნირიცაა, სადაც ქართველ სპორტსმენებთან ერთად აზერბაიჯანელი, ირანელი და თურქი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. ტურნირზე ხაშურის ნაკრებიც იყო მიწვეული და ჩვენი ბიჭების გამოსვლა მართლაც წარმატებული გახლდათ. ჩვენი ნაკრები სულ 5 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და მათგან ორი ჩემპიონი, ერთი კი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ჩემპიონის კვარცხლბეკზე ლაშა ჩადუნელი (60კგ.) და გიგა ნოზაძე ავიდნენ (73კგ.). ვერცხლის მედალი კი ნიკა მამულაშვილმა ირგუნა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სპორტსმენთა მონაწილეობის ფინანსური მხარე აჭარისა და შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციებმა უზრუნველყვეს.

საკვირაო სკოლა მესამე ნაკადის მიღებას იწყებს

ორიოდე თვის წინ ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობეთ იმ სიახლის შესახებ, რომელიც ჩვენს ქალაქში დაინერგა. საქმე ეხებოდა საკვირაო სკოლის გახსნას, რომელსაც ორგანიზებას უწევდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრი ლაშა მესხი. საკვირაო სკოლამ თავისი ფუნქცია მართლაც შესანიშნავად შეასრულა და ამჟამად უკვე მესამე ნაკადის მიღებას იწყებს. როგორც ბატონმა ლაშამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მიღება 11 ოქტომბრიდან დაიწყება და სასკოლო კურსი 6-7 კვირის მანძილზე გაგრძელდება. შეხვედრები ჩატარდება ყოველ შაბათს 12-14 საათამდე. სკოლის მსმენელი შეიძლება გახდეს ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლის მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლე, სკოლის 16 მსმენელი ჩაირიცხება გასაუბრება-ტესტირების გავლის შემდეგ.

სასკოლო კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ადგილობრივი თვითმმართველობა, ჩემი როლი სახელმწიფოში, გადაწყვეტილების მიღება, ბიუჯეტის ფინანსები, როგორ გადავწყვიტო პრობლემები, მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში, როგორ დავწერო პროექტი, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. კურსის მიმდინარეობისას მსმენელები შეხვდებიან სხვადასხვა ცნობილ ადამიანებს (სკოლის ერთ-ერთ ნაკადს შეხვედრა ჰქონდა პაატა ზაქარეიშვილთან), ხოლო კურსის დამთავრების შემდეგ ევევიან საქართველოს პარლამენტს და გამორჩეულებს გადაეცემათ შესაბამისი სერთიფიკატი. კურსი ინტერაქტიულია, მსმენელები ადგენენ პროექტებს, ესწრებიან საკრებულოს სხდომას, მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში (გამწვანება-დასუფთავების აქციები, 2 ივნისს მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში „რატომ ევროპისკენ“, სხვა სკოლის მოსწავლეებს უტარებენ ტრენინგს სკოლაში გავლილ თემაზე).

აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლას აქტიურად ეხმარება ხაშურის მუნიციპალური ბიბლიოთეკა და ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული განვითარებისთვის (NIMD).

D

ნანა ღამბაშიძე - ჩვენი ტკივილი

ჯერ კიდევ გუშინ, ერთი ლამაზი, სათნო და კეთილშობილი ქალბატონი დააბიჯებდა ხაშურის ქუჩებში...

ქართულ საგალობელს ჰგავდა მისი ცხოვრება სათუთს, მრავალხმიანს... ზღვას სიკეთისას, უნაპიროს და უკიდეგანოს...

სიცოცხლის ხეს კიდევ ერთი ფოთოლი მოსწყდა ნაადრევად. თითქოს შემოდგომის მზეს ჩაჰყვა... თვალს მიეფარა... ჩვენც ნაპირს შევრჩით, უსუსურობის შეგრძნებით კიდევ ერთხელ დაოსებულნი და განადგურებულნი...

დარჩა მარადიულ ტკივილად, მაინც იმედად, სიკეთის მაცნედ. პროფესიონალიზმით კი მარადიულ ჰანგად დარჩა მოზარდთა ცნობიერებაში. ეს იყო ჰიმნი, რომელიც შეიძლებოდა სამშობლოსათვის ეძღვნა მუსიკოსს...

სამი ნათელი სხივი ჩაუქრა ხაშურის სამუსიკო სკოლას. სამი კეთილხმოვანი ბგერა მინავლდა ობერტონებად განფენილი... ორი ცისანა (ტყეშელაშვილი, ქიტიაშვილი) და ახლა კი ნანა, ჩვენი ნანა ღამბაშიძე, რომელიც ჩვენს გულებში გადანაწილდა.

ღვთის შიშითა და რწმენით აღსავსემ იცხოვრა და ასეთივე და პირნათელი წარსდგა უფლის წინაშე. მისგანვე თავის სახედ და ხატად შექმნილი მხევალი ღვთისა...

ნახვამდის, ჩემო ძვირფასო მეგობარო!.. სიყვარულის, სინანულისა და ტკივილის ცრემლით გაჯერებული თაიგული დევს ჩვენს გულებში– შენს პანთეონში...

ნანი გაჩეჩილაძე, მაყვალა ხაჩიძე,
ნათელა ჯინჭარაძე, კლარა გელაშვილი,
ჟუჟუნა ცენგირაშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.